საარჩევნო სამართლის დარგში იურიდიული კლინიკის პროგრამის ფარგლებში სტუდენტები საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ხვდებიან

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი (სწავლების ცენტრი) საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პარტნიორობის ფარგლებში აგრძელებს იურიდიული კლინიკის პროგრამას საარჩევნო სამართლის დარგში.

სწავლების აღნიშნული პლატფორმა განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის/სამართლის სკოლის საბაკალავრო და მაგისტრატურის საფეხურების სტუდენტებისთვის, მიზნად ისახავს ახალგაზრდების პროფესიული ცოდნის გაღრმავებისა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას საარჩევნო მიმართულებით. თანამედროვე მეთოდოლოგიაზე დაფუძნებით პროგრამა მაქსიმალურად დატვირთულია პრაქტიკული სწავლების კომპონენტებით, რაც თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლისა და მისი დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველია; ამასთან, საარჩევნო გამოცდილების გაზიარების მიზნებისთვის გათვალისწინებულია სტუდენტების შეხვედრების ციკლი დარგობრივ ექსპერტებთან.

2022 წლის საშემოდგომო სემესტრში იურიდიული კლინიკის ფორმატში მიმდინარე საარჩევნო სამართლის პროგრამაში მონაწილეობას ალტე უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები იღებენ. 4 ნოემბერს ახალგაზრდები ცესკოში საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შეხვდნენ. გახსნით ნაწილში სწავლების ცენტრის დირექტორმა ნათია ზაალიშვილმა სტუდენტებს საარჩევნო რეფორმის ძირითადი მიმართულებები გააცნო, შემდგომ ეტაპზე კი ცესკოს საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსმა ეკა ცაბაშვილმა არჩევნებში ტექნოლოგიების გამოყენების საკითხზე მონაწილეებს საარჩევნო ადმინისტრაციის გამოცდილება გაუზიარა.
მეტი თვალსაჩინოებისთვის სტუდენტები უშუალოდ ჩაერთნენ ამომრჩეველთა ვერიფიკაციისა და ხმის ელექტრონული მთვლელი აპარატების გამოყენებით გამართულ ხმის მიცემის სიმულაციაში.

იურიდიული კლინიკის პროგრამა 2022 წლის ოქტომბერი-დეკემბრის პერიოდში ხორციელდება, დასკვნით ეტაპზე გათვალისწინებულია სტუდენტების ფინალური შეფასება.